საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-860

ქ. თბილისი

11/06/2021

შპს „ზიმოს“ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 27-კმ 43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2021 წლის 2 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ზიმოს“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2006 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ზიმოს“ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 27-კმ 43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე გაიცა №73 (06.09.2006) სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა აღნიშნული დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ბრძანება ვერ მოიძებნა. შესაბამისად, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ზიმოს“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ზიმოს“ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 27-კმ 43 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოებზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №73; 06.09.2006);
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ზიმოს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზიმოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი